თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 7420285

გაცემის თარიღი: 20/03/2025 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR11077102
შემოსვლის თარიღი: 25/02/2025
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.12.12.011.147
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა, N 2
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 14969.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება "ნიკორა" (200050675)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**
- **II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ელენა სოსინა პ/ნ 01011064476
- მისამართი: ტოლუჟის #56

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ბრძანება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს **2025 წლის 25 თებერვალს** AR11077102 განცხადებით მომართა **ელენა სოსინამ** და მოითხოვა სამსახურის **2025 წლის 23 იანვრის № 7353113 ბრძანებით** დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მშენებლობის სახეობა: შენებლობა **საპროექტო ობიექტი: „ფაბრიკა“-ს ნაცვლად საპროექტო ობიექტი: დამხმარე - ტექნიკური შენობები -ს დაფიქსირება.**

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ **2025 წლის 23 იანვრის № 7353113 ბრძანებით,** ქალაქი თბილისი, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა, N 2-ში , არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **№: 01.12.12.011.147; ფართობები: 14969.0 კვ.მ**.) **ფაბრიკის** მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის **2025 წლის 23 იანვრის № 7353113 ბრძანებით,** დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა კერძოდ: **საპროექტო ობიექტი: „ფაბრიკა“-ს ნაცვლად საპროექტო ობიექტი: დამხმარე - ტექნიკური შენობები -ს დაფიქსირება.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია **2025 წლის 23 იანვრის № 7353113 ბრძანებით** დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის **2025 წლის 23 იანვრის № 7353113 ბრძანებით,** დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: **საპროექტო ობიექტი: „ფაბრიკა“-ს ნაცვლად საპროექტო ობიექტი: დამხმარე - ტექნიკური შენობები -ს დაფიქსირება.**

2. გაითვალისწინეთ: პროექტის შეთანხმების ეტაპზე ახალი ობიექტის განთავსება უნდა განხორციელდეს ისე , რომ ს-1-ს ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არ უნდა იქნას საერთო ოდენობის 25%--ზე მეტი , კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის **სამსახურის 2025 წლის 23 იანვრის№ 7353113 ბრძანებასთან ერთად ;**

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მე
  ცხელ ხაზზე -
  2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

